



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა დ ა ო რ ე გ ი მ ე ტ ი ლ ე ბ ა №47/1

2022 წლის 24 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის არჩევნების შედეგების დამტკიცების შესახებ

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში – კომისია) თავმჯდომარეს კომისიის არანაკლებ 2 წევრის წარდგინებით, ფარული კენჭისყრით ირჩევს კომისია საკუთარი შემადგენლობიდან, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, 3 წლის ვადით, მაგრამ არაუმეტეს კომისიის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადისა, მოქმედი თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლიდან ან უფლებამოსილების შეწყვეტიდან 15 კალენდარულ დღეში.

კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა 2022 წლის 22 ოქტომბერს.

კომისიის თავმჯდომარის 2022 წლის 24 ოქტომბრის №679 ბრძანებით დაინიშნა კომისიის თავმჯდომარის არჩევნები და შეიქმნა ხმის დამთვლელი კომისია.

2022 წლის 24 ოქტომბერს, ჩატარებული კომისიის თავმჯდომარის არჩევნების შედეგების მიხედვით, 5 (ხუთი) ხმით კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კომისიის წევრი - დავით ნარმანია. არჩევნების დასრულებისთანავე, ხმის დამთვლელმა კომისიამ შეადგინა კენჭისყრის ოქმი, რომელიც „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის არჩევის წესის“ მე-8 პუნქტის პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად, არჩევნების შედეგების დამტკიცების მიზნით, წარედგინა კომისიას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლისა და ხმის დამთვლელი კომისიის 2022 წლის 24 ოქტომბრის კენჭისყრის ოქმის შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გ ა დ ა ო რ ე გ ი მ ე ტ ა:

1. დამტკიცდეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის არჩევნების შედეგები ხმის დამთვლელი კომისიის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის 24 ოქტომბრის კენჭისყრის ოქმის საფუძველზე.

2. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარედ კომისიის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით არჩეულია კომისიის წევრი დავით ნარმანია, რომლის უფლებამოსილების ვადა იწყება ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან.

3. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადებისთანავე.

4. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა დაუყოვნებლივ უზრუნველყოს წინამდებარე გადაწყვეტილების საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.gnerc.org) გამოქვეყნება.


5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში.

გოჩა შონია



კომისიის თავმჯდომარე - მ.შ.

გიორგი ფანგანი




კომისიის წევრი

მაია მელიქიძე



კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე



კომისიის წევრი

დავით ნარმანია

კომისიის წევრი

